XXI საუკუნეში განხორციელებულმა გლობალურმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა დიდი გარდატეხა შეიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. რამდენადაც გამარტივდა კომუნიკაცია, იმდენად დიდი გამოწვევების წინაშე დადგა თითოეული პიროვნება, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება ინფორმაციის დაცვის კუთხით. აღნიშნული პროგრესი შეეხო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასაც, განსაკუთრებით, მტკიცებულებათა განვითარების თვალსაზრისით[1]. დანაშაულის ჩადენის პროცესში საგრძნობლად იმატა კომპიუტერული სისტემის გამოყენების მაჩვენებელმა. შესაბამისად, საკმაოდ აქტუალური გახდა ელექტრონული, ანუ ე. წ. „ციფრული" მტკიცებულებების გამოყენების საკითხი სისხლის სამართალწარმოებაში, რომელიც ახალი ტიპის მტკიცებულებად ჩამოყალიბდა[2].

ელექტრონულ მტკიცებულებას წარმოადგენს[3] ნებისმიერი მონაცემი, რომელიც ინახება ან რომლის გადაცემაც ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით და მხარს უჭერს თეორიას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა დანაშაული.[4] „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, კომპიუტერულ სისტემაში იგულისხმება „ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ან ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელთაგან ერთი ან მეტი, პროგრამის მეშვეობით, ასრულებს მონაცემთა ავტომატურ დამუშავებას".[5] თავად კომპიუტერული მონაცემი კი არის „ფაქტების, ინფორმაციის ან კონცეფციათა ნებისმიერი გამოსახვა კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ფორმით, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას".[6]

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულ მტკიცებულებას ე.წ. "ტრადიციული" მტკიცებულების მსგავსი მახასიათებლები აქვს, არსებობს მთელი რიგი ასპექტები, რომლებიც მას უნიკალურს ხდის.[7] პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ციფრულ მონაცემთა "სიმყიფე"[8], რაც მას განსაკუთრებულად გამოარჩევს, მაგალითად, ქაღალდზე, მატერიალური სახით შექმნილი დოკუმენტისაგან. აღნიშნული გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებიდან მოპოვებული ინფორმაციის ბუნებას, რომ იგი ადვილად შეიძლება წაიშალოს[9], შეიცვალოს და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება მისი დეცენტრალიზებული შენახვაა. შესაძლებელია, ქვეყნის

1 Carrera S., Stefan M., Mitsilegas V., Cross-border data access in criminal proceedings and the future of digital justice, 2020, გვ. 1.

2 მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.75 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ელექტრონული მტკიცებულების, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი კატეგორიის განმარტებას არ ვხვდებით, მაგრამ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმები ძირითადად წარმოადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში და სხვ.

4 Casey E., Digital Evidence and Computer Crime, 2004, გვ.12; The admissibility of Electronic evidence in court: fighting against high-tech crime, 2005.

5 ევროპის საბჭოს კონვენცია „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ" (23.11.2001), მუხლი 1. <https://rm.coe.int/16802fa423> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

6 *იქვე.*

7 მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.76 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

8 Casey E., Digital Evidence and Computer Crime, 2004, გვ.16; Vacca, Computer Forensics, Computer Crime Scene Investigation, 2005.

9 Moore, To View or not to view: Examining the Plain View Doctrine and Digital Evidence, American Journal of Criminal Justice, ტომი 29, #1, 2004, გვ. 58.

საზღვრებს გარეთ შენახული ინფორმაცია დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ დისტანციურად იქნეს გამოყენებული,[10] რაც უფრო მეტად ართულებს გამოძიების პროცესს. ამდენად, ასეთ მონაცემთა მოპოვების, ელექტრონულ მტკიცებულებათა ბუნების სანდოობისა და ავთენტურობის საკითხის დადგენა საკმაოდ დიდი გამოწვევაა ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის.[11]

ამასთან, კომპიუტერული დანაშაულის შესახებ კონვენციის ახსნა – განმარტებით ანგარიშში (N187) მითითებულია, რომ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ეფექტიანი მოპოვებისათვის საჭიროა დამატებითი პროცესუალური გარანტიები[12]. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი ის, რომ აღნიშნული ინფორმაცია არამატერიალური, ელექტრომაგნიტური ფორმითაა წარმოდგენილი. მეორე მიზეზს კი მისი შემხებლობის განსხვავებული სტანდარტი წარმოადგენს. კერძოდ, კომპიუტერული მონაცემი ვერ იქნება კონფისკირებული ან ჩამორთმეული ისე, როგორც ქაღალდზე ნაბეჭდი დოკუმენტი.

სწორედ გამოძიების მიერ მოპოვებულ, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვის პროცესუალურ გარანტიებთან დაკავშირებით იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წელს[13], რა დროსაც განსაზღვრა ის სტანდარტები, რომელიც სახელმწიფოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებიდან ინფორმაციის კოპირებისა და შენახვისას უნდა იქნეს გამოყენებული[14].

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელთა შინაარსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შორის[15].

აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთ მიზეზს თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის კოპირებისა და შენახვის პრობლემა წარმოადგენდა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული მოპოვებულ მონაცემთა პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს ხელში თავმოყრისა და ე.წ. "ალტერნატიული ბანკების" შექმნის საფრთხეებზე.

2. ე.წ. "ალტერნატიული ბანკების" შექმნის საფრთხე

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული, „ტექნიკურად შესაძლებელია, მაიდენტიფიცირებელი მონაცემის კოპირების და შენახვის პროცესში შეიქმნას ე.წ. „ალტერნატიული ბანკი", რომლის არსებობის შესახებ შესაძლოა არავინ იცოდეს და მასზე დაშვება არც პერსონალურ

10 მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.76 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

11 Stephen M., Allison S., Electronic Evidence, 2017, გვ. 193

12 ელექტრონულ მტკიცებულებათა "ახალი ტიპის" მტკიცებულებებად ჩამოყალიბების და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა მოპოვების საკითხთან დაკავშირებით დამატებითი პროცესუალური ნორმების საჭიროების თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის სამართალდამცავთა მიერ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩატარებული გამოძიება,, რა დროსაც საკრედიტო ბარათების გამცემი კომპანიების მეშვეობით დადგინდა იმ დამნაშავეთა ვინაობა, რომლებმაც შეიძინეს და ჩამოტვირთეს ბავშვთა პორნოგრაფია ერთ-ერთი ვებგვერდიდან (იხ., Spiegel Online, Fahnder überprüfen erstmals alle deutschen Kreditkarten,08.01.2007).

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

14 ციფრულ მტკიცებულებათა მოპოვება/შენახვა/განადგურება ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი წესები.

15 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი.

მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ჰქონდეს“[16]. აღნიშნული გულისხმობს ტოტალურ წვდომას გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე, ყოველგვარი შინაარსობრივი გამიჯვნის გარეშე: ვინ სად, როდის, რა ტექნიკური საშუალებით, რომელი ლოკაციიდან და როგორი ხანგრძლივობით მოახდინა დაკავშირება.

უნდა აღინიშნოს ზედამხედველობის იმ მექანიზმებზე, რომელიც მოპოვებული ინფორმაციის კოპირების თავიდან აცილების მიზნებისთვის შეიქმნა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში[17] განხორციელებულ 2017 წლის 22 მარტის ცვლილებებს რაიმე ახლებური რეგულირება არ შემოუტანია ინსპექტორის მიერ მონაცემთა კოპირების პროცესის გაკონტროლების თვალსაზრისით.[18] დადებითი ნოვაცია იყო ის, რომ არსებული კონტროლის ერთ-ერთი ბერკეტი – ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა – ტექნიკური თვალსაზრისით უკვე გამართულ იქნა და მისი საშუალებით ინსპექტორს შეეძლო კოპირებულ მონაცემთა ბანკში განხორციელებული ქმედებების კონტროლი.[19] რაც შეეხება ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებისგან სააგენტოს მიერ მონაცემთა კოპირების პროცესს, აღნიშნულზე ზედამხედველობის ერთადერთ ბერკეტს ინსპექტირება წარმოადგენდა. ზედამხედველობის ეს სახე საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით არაეფექტიანად მიიჩნია მისი განხორციელების მეთოდის გამო, რაც „შემთხვევითი შერჩევის პრინციპში“ მდგომარეობდა. აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს აბსოლუტურად ყველა მონაცემთა კონტროლის, შესაბამისად, აბსოლუტურად ყველა დარღვევის აღმოჩენის შესაძლებლობას, ხოლო ასეთმა “შერჩევითმა კონტროლმა, ფაქტობრივად, შეუძლებელია ხელშესახები შედეგები გამოიღოს“[20].

ზემოხსენებული საკითხის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია მონაცემთა დაცვის სფეროსა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროსთან დაკავშირებით, კანონის წინა რედაქციისგან არსებითად განმასხვავებელ დანაწესებს არ ითვალისწინებს. კერძოდ, “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის VII თავი ტექსტობრივად და, შესაბამისად, შინაარსობრივადაც “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის წინა რედაქციის V^2 (“პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილებები მონაცემთა დაცვის სფეროსა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში”) თავის იდენტურია.

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-100.

17 საუბარია “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონზე, რომელიც ძალადაკარულია – 14.06.2023 N3144. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხზე კონტროლი საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება.2015 წლიდან კი, ადგილი აქვს უშუალოდ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობას. ზემოთხსენებულ საქმიანობას 2013-2019 წლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ახორციელებდა, 2019-2022 წლებში მისი უფლებამონაცვლე – სახელმწიფო ინსპექტორის სამსხური. 2022 წლის 1 მარტიდან კი აღნიშნული მანდატი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიენიჭა.

18 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი, II – 84.

19 *იქვე*, II – 96

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-104.

ამდენად, ინსპექტირების არსებული ბერკეტი კვლავ "შემთხვევითი შერჩევის პრინციპის" მატარებელია, რაც უშვებს იმის ალბათობას, რომ კონტროლის აღნიშნული მექანიზმის მოქმედებისას იმთავითვე გამორიცხულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით კანონდარღვევათა სრულად აღმოჩენა და, შესაბამისად, აღმოფხვრაც.

ამასთან, ვინაიდან ე.წ. "ალტერნატიული ბანკების" შექმნის საფრთხის არსებობის პირობებში შესაძლებელია კოპირებულ იქნას აბსოლუტურად ყველა მოპოვებული ინფორმაცია ყოველგვარი გადარჩევის გარეშე, საინტერესოა, თუ რა ცვლილებები განიცადა ამ კუთხით კანონმდებლობამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ.

როგორც ზემოთ ხსენებული კანონის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მონაცემები "უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად". ამასთან, აქვე ვკითხულობთ, რომ ინფორმაცია შესაძლებელია შენახულ იქნას "მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად". განმარტებით ბარათში, ასევე, ხაზგასმულია ინფორმაციის უსაფრთხო შენახვის მნიშვნელობა, რომ მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები მონაცემთა "უნებართვო ან უკანონო" დამუშავების თავიდან ასაცილებლად.[21] განმარტებითი ბარათში განსაზღვრული ზემოთ ხსენებული მიზნები აღნიშნული კანონის მე-4 მუხლში, მონაცემთა დამუშავების პრინციპების სახით იქნა ჩამოყალიბებული.

თუმცა, კანონმდებლის მხრიდან, ინფორმაციის შენახვისა და დაცვის კუთხით, ზემოთ ხსენებული, ადამიანის უფლებათა დაცვის მკაფიო, აშკარა მზადყოფნის მიუხედავად, აღნიშნული მიდგომა ნაკლებად შეეხო ფარული საგამოძიებო მოქმედებების გზით ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებიდან მოპოვებული ინფორმაციის შენახვის ვადას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვის ვადა ორი წლიდან 12 თვემდე შემცირდა[22]. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებისა, არ ხდება ზემოხსენებული ვადის პერიოდული გადამოწმება. შესაბამისად, არ არსებობს დანაწესი კანონმდებლობაში, რომელიც გაითვალისწინებს იმის დადგენას, კვლავ არის თუ არა მოპოვებული ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვანი და არსებობს თუ არა მისი შენახვის საჭიროება. ამდენად, შეიძლება შენახულ იქნას ყველაფერი, მათ შორის, საქმისთვის მნიშვნელობის არმქონე ინფორმაცია, კანონით დადგენილი ვადით, ყოველგვარი გადარჩევისა და დასაბუთების გარეშე. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა დღემდე ითვალისწინებს, აბსოლუტურად შეუზღუდავად, პირთა წრის და ლოკაციის მიხედვით ასეთი ინფორმაციის კოპირებასა და შენახვას[23] ერთი წლის ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. წ. "ალტერნატიული ბანკების" შექმნის საფრთხე პრობლემურია, იმ კუთხითაც, რომ შესაძლებელია შენახულ იქნეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოძიებისთვის არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ კანონის დანაწესის არარსებობის პირობებში არ ნადგურდება საამისოდ უფლებამოსილ პირთა მიერ.

21 საქართველოს პარლამენტი. განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

22 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 15. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-91.

3. მონაცემთა პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს ხელში თავმოყრა

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა დამუშავებაზე, შენახვაზე, გაცემასა და განადგურებაზე პასუხისმგებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებამდე სააგენტო დეპარტამენტის სახით იყო წარმოდგენილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ სხდომაზე მოწმის მიერ გაჟღერებული პოზიციით, "ალტერნატიული ბანკების" შექმნის თავიდან აცილების ერთადერთ ბერკეტად ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა დასახელდა. ამ შემთხვევაში გამოირიცხებოდა მოპოვებულ მონაცემთა თავმოყრა პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელში, რომლის განუყოფელ ნაწილსაც სააგენტო წარმოადგენდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მიდგომის ჩამოყალიბების შემდეგ, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი შინაარსობრივად დღემდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის "ეფექტიან კონტროლს" არის დაქვემდებარებული.[25]

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შექმნილი და სწორედ ამ სისტემაში ფუნქციონირებს როგორც ერთიანი და ცენტრალიზებული სამსახურის ნაწილი. კერძოდ:

- სააგენტოს უფროსი „შეიმუშავებს წინადადებებს სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და დაფინანსების (მათ შორის, სააგენტოს ბიუჯეტის) შესახებ და შესაბამის პროექტებს წარუდგენს სამსახურის უფროსს"[26].
- „სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიშის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენამდე სააგენტოს უფროსი ამ ანგარიშს წარუდგენს სამსახურის უფროსს".[27]
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი წყვეტს შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელისთვის სპეციალური დანამატის დაწესებისა და პრემიების განსაზღვრის საკითხებს[28]
- „სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამსახურის უფროსი".[29]

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2016 წლის 14 აპრილის საკონსტიტუციო სა-

24 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 15. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი.

26 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 20, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

27 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 29, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

28 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 20, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ლ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

29 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საქართველოს კანონი. მუხლი 29, პუნქტი 1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

სამართლოს გადაწყვეტილებით ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი პროფესიულად დაინტერესებულ ორგანოდ მიჩნეულ იქნა არა იმის გამო, რომ უშუალოდ ამ დეპარტამენტს გააჩნდა რაიმე სახის საგამოძიებო ფუნქცია, არამედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ის წარმოადგენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სფეროში არსებულ ერთეულს და სწორედ სამსახურის ფუნქციები აქცევდა მას გამოძიების ფუნქციის მქონედ.[30] საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „როდესაც პირად ინფორმაციაზე პირდაპირი და უშუალო წვდომის ტექნიკური შესაძლებლობები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (ან გამოძიების ფუნქციის მქონე სხვა ორგანოს) ხელთაა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისთავად განუზომლად ზრდის უფლებაში თვითნებურად, გადამეტებულად ჩარევის რისკებს, ობიექტურად ძალიან რთული ხდება, თუ შეუძლებელი არა, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოების ეფექტიანი კონტროლი"[31].

მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, ნათელია, რომ აღნიშნული დეპარტამენტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის საკითხი ფორმალური ხასიათის მატარებელია, ვინაიდან შინაარსობრივად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობა როგორც საფინანსო, ისე ფუნქციური მმართველობის კუთხით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ე.წ. "ალტერნატიული ბანკების" შექმნისა და მონაცემების პროფესიული ნიშნით დაინტერესებული ორგანოს ხელში თავმოყრის შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, "როგორც კუმულაციაში, ისე ცალ-ცალკე ქმნიან საფრთხეს ადამიანის პირად სივრცეში გადამეტებული, უსაფუძვლო ჩარევისთვის, შესაბამისად, ფუნდამენტური უფლებების დარღვევისთვის"[32].

განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, თვითნებურ ქმედებათა განხორციელების რისკი აშკარაა. ამასთანავე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საუბარია ელექტრონულ მტკიცებულებათა მოპოვებაზე, რომლის ავთენტურობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან, კიდევ უფრო მეტად იკვეთება ამ კუთხით ნათელი და დეტალური წესების არსებობის საჭიროება[33].

ვინაიდან, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისთვის[34], საჭიროა ეროვნულ დონეზე არსებობდეს ისეთ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არ შექმნის ეჭვებს ზემოხსენებულ უფლებებში არაუფლებამოსილი პირების მიერ არაპროპორციული ჩარევის შესახებ.

ამდენად, ვინაიდან საფრთხეებმა, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული, დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის ქცევის თავისუფლებაზე, საჭიროა დადგინდეს – იწვევს თუ არა ამ კუთხით არსებული მოქმედი საკა-

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-55.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-55.

32 *იქვე*, II-95.

33 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kopp v. Switzerland (25.03.1998), §46.

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ" II-55.

ნონმდებლო რეგულაცია ისეთი მნიშვნელოვანი უფლების შეზღუდვას, როგორიცაა პირადი ცხოვრების პატივისცემა.

4. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან შესაბამისობის საკითხი

საინტერესოა, რა მიდგომას აყალიბებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და შეესაბამება თუ არა მოპოვებული ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა უსაფრთხო შენახვასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ზემოაღნიშნულ უფლებას.

სტრასბურგის სასამართლო განმარტავს, რომ პირადი ცხოვრების ცნება არის ფართო და არ შეიძლება ექვემდებარებოდეს ამომწურავ განმარტებას.[35] პირადი ცხოვრების პატივისცემის კონცეფცია მოიცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ისევე როგორც ურთიერთობების დამყარებას სხვებთან.[36]

საქმეში A v. France[37] საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჩაწერილი საუბრები, რომლებიც დაკავშირებული იყო მკვლელობის ჩადენასთან, არ ეხებოდა პირად ცხოვრებას. კომისიამ დაადგინა შემდეგი: ის ფაქტი, რომ საუბარი წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, არ უკარგავდა მას პირად ხასიათს. სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი გაიზიარა და განმარტა, რომ ინდივიდის თანხმობის გარეშე სახელმწიფო თანამდებობის პირთა მხრიდან მასზე ინფორმაციის შეგროვება ყოველთვის ეხება პირის პირად ცხოვრებას და, შესაბამისად, ხვდება მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლებში.

სისხლის სამართლის პროცესში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებიდან მოპოვებული ინფორმაციის კოპირებისა და შენახვის საკითხის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან შესაბამისობის განსაზღვრისთვის უნდა დადგინდეს შემდეგი:

ა) შეზღუდვა განხორციელდა თუ არა კანონის შესაბამისად?

"კანონის შესაბამისობის" დადგენის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმად, საკანონმდებლო დონეზე ნორმის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდვა იმთავითვე კანონის შესაბამისი იქნება. საქმეში Bykov v. Russia [38] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამებოდეს „კანონის ხარისხის" მოთხოვნას, ის უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების ორგანოების დისკრეციის ფარგლებს. ამასთანავე, ყურადღება იქნა გამახვილებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე და ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას მიუკერძოებელი ორგანოს ჩართვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ გზით ინდივიდს ექნება ადეკვატური დაცვის საშუალება თვითნებური ჩარევისაგან[39].

ამასთან, ვინაიდან "ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის მონიტორინგის განხორციელებისას არ წარმოებს უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით საჯარო კონტროლი,[40]" "კანონი ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორ-

35 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Costello-Roberts v. The United Kingdom (25.03.1993), §36.

36 კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ლ.ჭელიძის, ბ. ბოხაშვილის, თ. მამუკელაშვილის თარგმანი, ლ. ჭელიძის რედაქტორობით, ევროპის საბჭო, 2005, გვ.14.

37 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: A v. France (07.04.2022).

38 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Bykov v. Russia (10.03.2009).

39 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Huvig v. France (24.04.1990), § 29; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Amann v. Switzerland (16.02.2000) §56.

40 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass and Others v. Germany (06.09.1978), §54-56.

მაციის გამოკვლევის, გამოყენებისა და შენახვის, ისევე როგორც ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემის პროცედურებს"[41]. აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს "ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად ან თვითნებურად"[42] გამოყენებას.

შესაბამისად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ არის "კანონის შესაბამისი მაშინ", როდესაც ეროვნული კანონმდებლობით ზემოხსენებულ უფლებაში სამართალდამცავთა ჩარევისგან მომჩივნის ადეკვატური დაცვა არ არის უზრუნველყოფილი.[43]

ბ) შეზღუდვა შეესაბამება თუ არა კანონიერ მიზანს?

კანონიერ მიზანთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლო განმარტავს, რომ თავად მოპასუხე სახელმწიფოა ვალდებული განსაზღვროს კანონიერი შეზღუდვის მიზნები. უმრავლეს საქმეებში სასამართლოს მისაღებად მიაჩნია, რომ სახელმწიფოები სათანადო მიზნით მოქმედებენ, შესაბამისად, იშვიათად კმაყოფილდება ხოლმე მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში. [44]

ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაშიც არსებობს ისეთი ლეგიტიმური მიზნები, როგორიცაა: დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვათა უფლებების დაცვა.[45] თუმცა ერთია ხსენებული კანონიერი მიზნების არსებობა და მეორე საკითხია ის, არის თუ არა ამ მიზნების მისაღწევად არსებული კანონმდებლობა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გ) აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში?

ფარული საგამოძიებო მოქმედების გზით მოპოვებულ ციფრულ მონაცემებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საიდუმლო მეთვალყურეობის უფლებამოსილება ევროპული კონვენციის თანახმად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მკაცრად აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვის მიზნით. ამასთან, აუცილებლობის ცნება გულისხმობს იმას, რომ შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას, განსაკუთრებით პროპორციული უნდა იყოს კანონიერ მიზანთან [46].

საქმეში "Klass v. Germany"[47] გერმანიის კანონმდებლობა ეროვნული უშიშროების დაცვის, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით უშვებდა წერილის გახსნასა და სატელეფონო მოსმენებს. აღნიშნულ ქმედებათა განხორციელების სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა ხორციელდებოდა არა სასამართლოში, არამედ საპარლამენტო საბჭოში და ორგანოში, სახელწოდებით G10 კომისია, რომელიც საბჭომ დაამტკიცა. ევროპული სასამართლოსთვის მისაღები იყო ზემოხსენებული კონტროლის სისტემა, ვინაიდან ორივე ორგანო დამოუკიდებელი იყო მეთვალყურეობის განმახორციელებელი ორგანოებისგან და მინიჭებული ჰქონდა საკმარისი უფლებამოსილებები ეფექტიანი და განგრძობადი კონტროლის განსახორციელებლად. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ საქმეში ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

საყურადღებოა ზემოხსენებული გადაწყვეტილება იმ კუთხითაც, რომ ევროპულმა სასამართლომ აქ ხაზი გაუსვა არა მარტო დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელობაზე, არამედ, ასევე აღნიშნა, რომ სასამართლო კონტროლი თუ ზედამხედველობა ზემოხსენებულ ქმედებათა განხორციელებისას სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. შესაბამისად, მთავარია ორგანო, რომელიც საზედამხედვე-

41 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Weber and Saravia v. Germany (29.06.2006), § 95.

42 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass and Others v. Germany (06.09.1978), §54-56.

43 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Halford v. the United Kingdom (25.06.1997).

44 მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Handyside v. the United Kingdom (07.12.1976).

45 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 15, პუნქტი 1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].

46 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Olsson v. Sweden (24.03.1988).

47 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass v. Germany (06.09.1978).

ლო ფუნქციებით იქნება აღჭურვილი, აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუსაბამო იქნება, თუ ეს უფლებამოსილება, რაიმე კრიტერიუმების გარეშე და შეუზღუდავი დისკრეციის სახით, მიენიჭება თუნდაც მოსამართლეს.[48]

რაც შეეხება მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების მიზანშეწონილობის საკითხის განსაზღვრას, საქმეში Iodachi v. Moldova[49], მოლდოვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პროცედურას თუ რა წესით უნდა გადარჩეულიყო ფარულად მოპოვებული ინფორმაცია, რომელი უნდა შენახულიყო და რომელი არა, რა პროცედურა უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით და რა შემთხვევაში უნდა განადგურებულიყო ასეთი ინფორმაცია. ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვის პროცესში და, შესაბამისად, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ციფრულ მტკიცებულებათა წარდგენისას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ადეკვატურ დაცვას. სტრასბურგისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტის მიუხედავად, ეროვნულ კანონმდებლობაში კვლავ არსებობს ისეთი ნორმები, რომელიც შეიცავს საფრთხეებს აღნიშნული უფლების დაცვის კუთხით. კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა მომპოვებელი – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, სამართლებრივი ფორმის ცვლილების მიუხედავად, კვლავ პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია, რაც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. ამასთან, მოპოვებულ ინფორმაციაზე ზედამხედველობის სისტემას აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელიც ქმნის "ალტერნატიული ბანკის" შექმნის საფრთხეს და არ განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გზით მოპოვებულ მონაცემთა საჭიროების საფუძვლით გადარჩევის შესაძლებლობას, რაც ასევე, წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან.

იმ პირობებში, თუკი არ იარსებებს ნათელი და განჭვრეტადი წესები, რომელიც გამორიცხავს პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს ხელში ასეთი ინფორმაციის თავმოყრას, "ალტერნატიული ბანკის" შექმნის საფრთხის პირობებში უკონტროლო გახდება მოპოვებულ მონაცემთა სხვა, არაკანონიერი მიზნებისთვის გამოყენების საკითხი საამისოდ არაუფლებამოსილ პირთა მიერ. ცალსახაა, რომ მსგავსი საფრთხეების არსებობა მნიშვნელოვნად დააზიანებს როგორც ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის ფუნდამენტურ – პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ისე, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის პრინციპებს, მიზნებსა და ინტერესებს.

48 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Silver and others v. the United Kingdom (25.03.1983).

49 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Iodachi v. Moldova (10.02.2009).

ბიბლიოგრაფია

1. Carrera S., Stefan M., Mitsilegas V., Cross-border data access in criminal proceedings and the future of digital justice, 2020, გვ. 1.
2. მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.75 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ელექტრონული მტკიცებულების, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი კატეგორიის განმარტებას არ ვხვდებით, მაგრამ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნომები ძირითადად წარმოადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში და სხვ.
4. Casey E., Digital Evidence and Computer Crime, 2004, გვ.12; The admissibility of Electronic evidence in court: fighting against high-tech crime, 2005.
5. ევროპის საბჭოს კონვენცია „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ" (23.11.2001), მუხლი 1. <https://rm.coe.int/16802fa423> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].
6. *იქვე.*მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.76 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].Casey E., Digital Evidence and Computer Crime, 2004, გვ.16; Vacca, Computer Forensics, Computer Crime Scene Investigation, 2005. Moore, To View or not to view: Examining the Plain View Doctrine and Digital Evidence, American Journal of Criminal Justice, ტომი 29, #1, 2004, გვ. 58.
7. მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. გვ.76 <https://rm.coe.int/16802fa028> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.]. Stephen M., Allison S., Electronic Evidence, 2017, გვ. 193
8. ელექტრონულ მტკიცებულებათა "ახალი ტიპის" მტკიცებულებებად ჩამოყალიბების და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა მოპოვების საკითხთან დაკავშირებით დამატებითი პროცესუალური ნორმების საჭიროების თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის სამართალდამცავთა მიერ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩატარებული გამოძიება,, რა დროსაც საკრედიტო ბარათების გამცემი კომპანიების მეშვეობით დადგინდა იმ დამნაშავეთა ვინაობა, რომლებმაც შეიძინეს და ჩამოტვირთეს ბავშვთა პორნოგრაფია ერთ-ერთი ვებ-გვერდიდან (იხ., Spiegel Online, Fahnder überprüfen erstmals alle deutschen Kreditkarten,08.01.2007).
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"
10. ციფრულ მტკიცებულებათა მოპოვება/შენახვა/განადგურება ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი წესები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-100
12. საუბარია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონზე, რომელიც ძალადაკარულია – 14.06.2023 N3144. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ

მონაცემთა დამუშავების საკითხზე კონტროლი საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. 2015 წლიდან კი, ადგილი აქვს უშუალოდ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობას. ზემოთხსენებულ საქმიანობას 2013-2019 წლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ახორციელებდა, 2019-2022 წლებში მისი უფლებამონაცვლე – სახელმწიფო ინსპექტორის სამსხური. 2022 წლის 1 მარტიდან კი აღნიშნული მანდატი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიენიჭა.საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი, II – 84.*იქვე*, II – 96საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-104.

13. საქართველოს პარლამენტი. განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.]. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 15. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-91.
14. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 15. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/885-1231 საოქმო ჩანაწერი.
15. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 20, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].
16. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 29, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 20, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ლ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].
17. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, საქართველოს კანონი. მუხლი 29, პუნქტი 1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=0> [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55.*იქვე*, II-95.
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kopp v. Switzerland (25.03.1998), §46.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536

გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ” II-55.
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Costello-Roberts v. The United Kingdom (25.03.1993), §36.კილკელი უ.,პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ლ. ჭელიძის, ბ. ბოხაშვილის, თ. მამუკელაშვილის თარგმანი, ლ. ჭელიძის რედაქტორობით, ევროპის საბჭო, 2005, გვ.14.
20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: A v. France (07.04.2022).
21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Bykov v. Russia (10.03.2009).
22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Huvig v. France (24.04.1990), § 29; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Amann v. Switzerland (16.02.2000) §56.
23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass and Others v. Germany (06.09.1978), §54-56.
24. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Weber and Saravia v. Germany (29.06.2006), § 95.
25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass and Others v. Germany (06.09.1978), §54-56.
26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Halford v. the United Kingdom(25.06.1997). მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Handyside v. the United Kingdom (07.12.1976).საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 15, პუნქტი 1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 > [ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2024წ.].
27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Olsson v. Sweden (24.03.1988).
28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Klass v. Germany (06.09.1978).
29. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Silver and others v. the United Kingdom (25.03.1983).
30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Iodachi v. Moldova (10.02.2009).